



**საქართველო**  
**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16  
 E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
 Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 12

27 სექტემბერი 2019 წელი

„სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის №9 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 26/07/2019; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.108.016436) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი დამტკიცების შესახებ“;

**ბ) დადგენილებით დამტკიცებული მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი დანართი №1-ის შესაბამისად“

**გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის, სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი“

**დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის, მე-5 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„8. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №90 დადგენილებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული CPV კოდების**

ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.”

## მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი